

4/6

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

13.12.2013 წელი

2 გვ.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2011–2012 წლების ადგილობრივი
ბიუჯეტით გათვალისწინებული განათლების, კულტურის, სპორტის და
დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის და განათლების, კულტურის,
სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები

აუდიტის ანგარიში N 18/105

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი



შესავალი

აუდიტის ანგარიში	
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	
აუდიტორის პასუხისმგებლობა	
ქ. ბათუმში, ახალი ბულვარიდან - მდ. ჭოროხამდე ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი ბილიკის მოწყობის სამუშაოები	
ქ. ბათუმში, ახალი ბულვარიდან - მდ. ჭოროხამდე ფეხით მოსიარულეთა, ველოსიპედის სავალი ბილიკის და სხვადასხვა სამუშაოები	
ქ. ბათუმში, არდაგანის ტბის მიმდებარედ არქიტექტურული ძეგლის მოწყობის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები	
ქ. ბათუმში უკვე არსებული და დამონტაჟებული ყინულის მოედნის დაშლა გადატანის სამუშაოები	1
კულტურის სხვადასხვა ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯები	1
პირობითი მოსაზრება	16
სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები	16
პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები/ნაკლოვანებები	16
შიდა კონტროლის სისუსტეები:	16
ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები	22
სხვა დარღვევა ნაკლოვანებები	22
პროგრამის ბიუჯეტი, ფორმა N1, 2011- 2012 წელი	25



აუდიტის ანგარიში

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2011 – 2012 წლების ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული განათლების, კულტურის, სპორტის და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციისა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის კანონშესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა თითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების (პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა; ქალაქის გაფორმება; სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია; საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; განათლების სახელოვნებო და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია; კულტურის პროგრამები; სპორტის პროგრამები; ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები; სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამა) შესრულებისათვის 2011–2012 წლებში გაწეული საქმიანობა, დამტკიცებული პროგრამები, მათი შესრულების ამსახველი პირველადი ფინანსური დოკუმენტები და პროგრამების შესრულების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამების მომზადებასა და წარდგენაზე, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის N241 ბრძანების, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების



ფორმების დამტკიცების „შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შესაბამება თუ არა ქ. ბათუმის მერის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული განათლების, კულტურის, სპორტის და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციისა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს რისკების შეფასებას, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი განხორციელებული საქმიანობის კანონშესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

მიგვაჩნია, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.



პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ქ. ბათუმში, ახალი ბულვარიდან - მდ. ჭოროხამდე ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი ბილიკის მოწყობის სამუშაოების განხორციელებისას, ფაქტობრივად შეუსრულებელი სამუშაოებისათვის ქ. ბათუმის მერიის მიერ მიმწოდებელზე გადახდილია 9 048.13 ლარი.

❖ ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი ბილიკის (ახალი ბულვარიდან - მდ. ჭოროხამდე, სექტორი 22-61) მოწყობის სამუშაოებისათვის ქალაქ ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ ელქტრონულ ტენდერში¹, (სავარაუდო ღირებულება 4 021 000 ლარი), უმცირესი ფასით გამარჯვებულ შპს „ზიმო-7“-თან, გაფორმებულია ხელშეკრულება² 3 100 000 ლარის შესასრულებელ სამუშაოებზე, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 15 სექტემბრამდე. საავანსო ანგარიშსწორება განხორციელდა 930 000 ლარის ოდენობით (30%), სულ აუდიტის პერიოდისათვის შესრულებულია 3 018 793,62 ლარის ღირებულების სამუშაოები, დაფინანსებულია 2 943 323,7 ლარი, ხოლო დარჩენილი 75 469,84 ლარის დაფინანსება განხორციელდება ხარვეზების აღმოფხვრის საგარანტიო ვადის ერთი წლის გასვლის შემდეგ.

✓ შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში (3 100 000 ლარის სამუშაოებში) გათვალისწინებული იყო რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 3%-ის ოდენობით 76 518,01 ლარი, რომლის გამოყენება, ფასების ცხრილში დაფიქსირებული შენიშვნის მიხედვით, მოხდებოდა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის ნებართვით ³. წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები), მიმწოდებელის მიერ გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯზე რაიმე სახის დამატებითი სამუშაოების ფაქტობრივად შესრულება ვერ დასტურდება, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტებში პროცენტულად დამატებულია და ქ. ბათუმის მერიის მიერ დაფინანსებულია რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე⁴ 7 699.01 ლარი, დღგ-ს ჩათვლით 9 048.83 ლარი.

¹ SPA120005139

² ხელშეკრულება N123 29.03.2012 წ.

³ მისივე ინიციატივით და/ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანმხების საფუძველზე შემსყიდველი ორგანიზაციის სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ.

⁴ შეთანხმება N4, 18/12/2012 წელი.



ქ. ბათუმში, ახალი ბულვარიდან - მდ. ჭოროხამდე ფეხით მოსიარულეთა, ველოსიპედის სავალი ბილიკის და სხვადასხვა სამუშაოების განხორციელებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის აუდიტის პერიოდში შემსყიდველის მიერ დარიცხული და გადახდილია ბიუჯეტში 179 439 ლარი, ხოლო შეთანხმებებში მითითებული ხელისშემშლელი პირობების წარმოშობის პერიოდის, ფაქტობრივად არსებობის და შემდგომში აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოუდგენლობა და მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის რეალობა მაღალი რისკის შემცველია.

❖ ფეხით მოსიარულეთათვის ბილიკის და ველოსიპედის სავალი ბილიკის მოწყობის სამუშაოებისათვის (ყოფილი „დინამოს“ სტადიონიდან საზღვაო სადგურამდე) ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2011 წლის 11 თებერვალს გამოცხადებულ ელექტორნულ ტენდერში⁵ გამარჯვებულ პრეტენდენტ შპს „ზიმო“-ს გაუფორმდა ხელშეკრულება⁶ 1 049 999 ლარის ღირებულების⁷ სამუშაოების შესრულებაზე, რომლის შესრულების ვადა განისაზღრა 2011 წლის 1 ივნისამდე პერიოდი. სამუშაოები ფაქტობრივად დასრულებულია 2011 წლის 24 ნოემბერს, გადახდილია 889 473,05 ლარი. აუდიტით დადგინდა, რომ სამუშაოს შესრულების ვადის დასრულების დღეს 2011 წლის 31 მაისს მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა მთლიანი სამუშაოების (1 049 999 ლარი) მხოლოდ 18,74% -196 804,56 ლარი⁸. 2011 წლის 31 მაისს მიმწოდებელთან გაფორმებულია შეთანხმება (N1. 31/05/2011) და სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა 2011 წლის 31 აგვისტომდე იმ მოტივით, რომ „პროექტის მიხედვით ბილიკის პროფილი გადის ალფაბეტური კოშკის სამშენებლო ღობის და ჰიდრომეტსამსახურის ანძის განთავსების ადგილზე და საჭიროა ღობისა და ანძის გადატანა“. აჭარის რეგიონალური ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის 2013 წლის 15 ნოემბერის N46 ცნობით მტკიცდება, რომ ანძის გადატანა არ განხორციელებულა, მხოლოდ 2011 წლის 3 ივლისს მოხდა მისი დემონტაჟი და 10 ივლისს აღდგენა. ამდენად სამუშაოს დასრულების ბოლო დღეს (2011 წლის 31 მაისს) მთლიანი შესასრულებელი სამუშაობიდან 18,74% -196 804,56 ლარის სამუშაოების შესრულების პირობებში შეთანხმებაში მითითებული საფუძველით სამუშაოების შესრულების ვადის სამი

⁵ SPA 110004120, პრეტენდენტები შპს „გზა“ და შპს „ზიმო“.

⁶ ხელშეკრულება N75. 21/03/2011 წელი.

⁷ 2011 წლის 27 ივლის სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 895 065 ლარამდე, შეთანხმება N2-27/07/2011 წელი, საიდანაც საერთოსდ არ შესრულებულა 5591,83 ლარი.

⁸ 28/04/2011 წ-96 524,55 ლარი, 31/05/2011 წ-100 280,01 ლარი



თვით გაგრძელება მაღალი რისკის შემცველია და მიმწოდებელზე პირგასამტებლოს დარიცხვისაგან თავის არიდებაზე მიუთითებს.

❖ ფეხით მოსიარულეთათვის ბილიკის და ველოსიპედის სავალი ბილიკის მოწყობის სამუშაოებისათვის (ახალი ბულვარიდან კვარიათამდე სექტორი 1-21) ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2011 წლის 11 თებერვალს გამოცხადებულ ელექტორნულ ტენდერში⁹ გამარჯვებულ პრეტენდენტს შპს „გზა“-ს გაუფორმდა ხელშეკრულება¹⁰ 1 399 999 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, რომლის შესრულების ვადა განისაზღრა 2011 წლის 1 ივნისამდე პერიოდი. ფაქტობრივად შესრულებულია 1 249 452 ლარის ღირებულების სამუშაოები, რაც დაფინანსებულია სრულად. დარჩა შეუსრულებელი 150 547 ლარის ღირებულების სამუშაოები. იმ პირობებში, როდესაც სამუშაოების მთლიანად დასრულების პერიოდისათვის (2011 წლის 31 მაისი) მიმწოდებელს შესრულებელი ჰქონდა 40%- 559 796,09 ლარის ღირებულების სამუშაოები (შესრულებულია სამუშაოების 60 % -840 202.91 ლარი), 2011 წლის 31 მაისს გაფორმებულია შეთანხმება¹¹ და სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა, თუმცა მიმწოდებლის მიერ კვლავ ვერ იქნა დასრულებული სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (2011 წლის 1 ივლისამდე) და ფაქტობრივად დასრულდა 2011 წლის 25 ივლისს. სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაფორმებულია შეთანხმება იმ მოტივით, რომ „მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მშენებარე ადლიის გამწმენდი ნაგებობისათვის საჭირო არის მაღალი ძაბვის ელექტროკაბელის, სასმელი წყლის მილისა და ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელის გაყვანა, რომელიც ჩადებული უნდა იქნეს საპროექტო ბილიკის ქვემოთ სექტორი 7-17 მონაკვეთში, აგრეთვე მაისის თვეში ცუდი ამინდების გამო ვერ ხერხდებოდა ბეჭდური ბეტონისა და ცემენტის მორკინვის სამუშაოების განხორციელება“. შეთანხმებაში მითითებულ მოტივთან დაკავშირებით, კერძოდ ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის სამუშაოებზე მერიის მიერ წარმოდგენილია სს „სილქენეტი“-თან 2011 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაც არ შეესაბამება სახელშეკრულებო პერიოდს, რადგან მიმწოდებელს, შპს „გზა“-ს სამუშაოები უკვე დასრულებული ჰქონდა 2011 წლის 25 ივლისს. იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმებაში მითითებული ხელისშემსლელი პირობების წარმოშობის პერიოდის, ფაქტობრივად არსებობის და შემდგომში აღმოფხვრის დამადასტურებელი

⁹ SPA 110004128, პრეტენდენტები შპს „გზა“ და შპს „ზიმო“.

¹⁰ ხელშეკრულება N78. 22/03/2011წელი.

¹¹ N1. 31/05/2011წელი.“



მტკიცებულებები აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი, არა გვეძლევა საშუალება გამოვთქვათ მოსაზრება შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ვადის გაგრძელებისა და შესაბამისი პირგასამტებლოს დაკისრებასთან დაკავშირებით.

❖ ქ. ბათუმში ზღვისპირა ბილიკის მშენებლობის (ახალი ბულვარიდან კვარიათამდე ფეხით მოსიარულეთა) და ველოსიპედის სავალი ბილიკის მშენებლობის (სექტორი 98-160) სამუშაოებისათვის ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2012 წლის 11 მაისს გამოცხადებულ ელექტრონული¹² ტენდერის გზით გამოვლენილ პრეტენდენტს შპს „თექ-ევ ინშაათ დექორასიონ თააპჰუთ იჩ ვე დიშ თიჯარეთ ლიმითიდ შირქეთი“-ს გაუფორმდა ხელშეკრულება¹³ 3 588 799,35 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, რომლის შესრულების ვადა განისაზღრა 2011 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი. 2012 წლის 22 ნოემბერს სამუშაოების მიწოდების ვადის დასრულებამდე 8 დღით ადრე მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი იყო მთლიანი სამუშაოების 69%, თანხით 2 462 644 ლარი. სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაფორმებულია შეთანხმება¹⁴ იმ მოტივით, რომ „ბილიკის მოწყობას №137 სექტორიდან №150 სექტორის ჩათვლით ხელს უშლის ამ ტერიტორიაზე არსებული „ბუნგალოები“ და კაფეები, ხოლო №132 სექტორიდან №143 სექტორის ჩათვლით ელექტროგადამცემი ხაზები და 10 ანძა, რაც საჭიროებს დემონტაჟს. გარდა ამისა, ბილიკის მშენებლობის დაწყების პერიოდი დაემთხვა ტურისტულ სეზონს, რის გამოც მშენებლობა მიმდინარეობს შეფერხებით“. 2012 წლის 22 ნოემბერს კვლავ გაფორმებულია შეთანხმება და ვალდებულებათა შესრულების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 1 თებერვლამდე პერიოდი. ანალოგიურად 2013 წლის 31 იანვარს, სამუშაოების მიწოდების ვადის დასრულებამდე 1 დღით ადრე, 38%- 1 379 056 ლარის ღირებულების სამუშაოების შეუსრულებლობის პირობებში გაფორმებულია შეთანხმება¹⁵ და ვალდებულებათა შესრულების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 1 მაისამდე პერიოდი, შეთანხმების მოტივად კი მითითებულია რომ „ბილიკის საზღვრებში გადის მაღალი ძაბვის ანძები და წარმოადგენს ს/ს „ენერგო პრო ჯორჯია“-ს საკუთრებას. მიუხედავად არაერთი წერილობითი და სიტყვიერი მიმართვისა დღემდე ვერ მოხერხდა სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება, რაც მოითხოვს დამატებით ხარჯებს“. 2013 წლის 31 მაისს გაფორმებული შეთანხმებით¹⁶ შესრულების ვადა განისაზღვრა

¹² SPA120013399.

¹³ ხელშეკრულება N240. 25/06/2012 წელი.

¹⁴ N1, 22/11/2012 წელი.

¹⁵ N3

¹⁶ N4.



2013 წლის 1 ივლისამდე პერიოდი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების 69%-ით შეუსრულებლობის პირობებში, სამუშაოების დასრულების ვადის ბოლო დღეს, ქ. ბათუმის მერიის მიერ ვადის გაგრძელების საფუძვლად ტერიტორიაზე ბუნგალოების, კაფეების, ელექტროგადამცემი ხაზების, 10 ანძის არსებობა და ტურისტული სეზონი ვერ ჩაითვლება ფორსმაჟორულ სიტუაციად, რადგან ეს შემსყიდველისათვის საწყის ეტაპზე, შესყიდვების განხორციელებამდეც უნდა ყოფილიყო ცნობილი, რაც მიმწოდებელზე პირგასამტებლოს დარიცხვისაგან თავის არიდებაზე მიუთითებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში 2013 წლის 21 აგვისტოს, თვითმმართველი ქალაქის ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით (N02/1720) მიმწოდებელთან შეწყვეტილი იქნა ხელშეკრულება, დაკისრებულია პირგასამტებლო 179 439 ლარი, რაც სს „საქართველოს ბანკის სათავო ოფისის“ მიერ *აღდგენილია ბიუჯეტში 2013 წლის 29 აგვისტოს.

ქ. ბათუმში, არდაგანის ტბის მიმდებარედ არქიტექტურული ძეგლის მოწყობის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოების განხორციელებისას, შესაბამისი ობიექტური, ფორსმაჟორული გარემოებების მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, შემსყიდველის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ვადის უსაფუძვლოდ გაგრძელებით, პირგასამტებლოს სახით ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში არ იქნა ასახული 81 675,2 ლარი, ხოლო არქიტექტურული ძეგლის (როტაცია) შეძენა-მონტაჟისათვის (მთლიანი ღირებულება 849 995) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სახეობისა და ღირებულების წარმოდგენილ მტკიცებულებასთან ურთიერთშეუსაბამობა მაღალი რისკის შემცველია.

❖ 2011 წლის 4 აპრილს ქ. ბათუმის მერიასა და შპს „ანაგი“-ს შორის ერთ პირთან მოლაპარაკების¹⁷ საშუალებით, გაფორმებულია ხელშეკრულება ქ. ბათუმში, არდაგანის ტბის მიმდებარედ არქიტექტურული ძეგლის (როტაცია) მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 427 620 ლარი¹⁸, ხოლო სამუშაოების დასრულების ვადა 2011 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი. 2011 წლის 7 აპრილს განხორციელდა 299 334 ლარის ავანსად გადახდა. სამუშაოები ფაქტობრივად დასრულებულია 2011 წლის 20 დეკემბერს და შესრულებულია 427 620 ლარის ღირებულების სამუშაოები. 2011 წლის 31 აგვისტოს, (ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების

¹⁷ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 17 თებერვლის N17/02/06 განკარგულება.

¹⁸ ძეგლის ესკიზის დამზადების ღირებულება 73500 ლარი, ძეგლის დეტალების დამზადება 234 392.80 ლარი, ზედნადები ხარჯები(10%) 30789.28 ლარი, მოგება (7%) 23707.75 ლარი.



დასრულების წინა დღეს) გაფორმებულია შეთანხმება¹⁹ და სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 20 ნოემბრამდე პერიოდზე, ხოლო 2011 წლის 17 ნოემბერს (დასრულებამდე 3 დღით ადრე) გაფორმებილი N2 შეთანხმებით შესრულების ვადა 2011 წლის 20 ნოემბრიდან გაგრძელებულ იქნა 2011 წლის 20 დეკემბრამდე.

❖ 2011 წლის 20 ივნისს ქ. ბათუმის მერიასა და შპს „ანაგს“ შორის ერთ პირთან მოლაპარაკების²⁰ საშუალებით, გაფორმებულია ხელშეკრულება ქ ბათუმში, არდაგანის ტბის მიმდებარედ არქიტექტურული ძეგლის (როტაცია) მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 422 375 ლარით²¹, ხოლო სამუშაოების დასრულების ვადა 2011 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდი. 2011 წლის 22 ივნისს განხორციელდა 295 662,50 ლარის ავანსად გადახდა. სამუშაოები ფაქტობრივად დასრულებულია 2011 წლის 20 დეკემბერს და შესრულებულია 419 980,97 ლარის ღირებულების სამუშაოები. 2011 წლის 31 აგვისტოს, (ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებიდან ერთი თვით ადრე) გაფორმებულია შეთანხმება²² და სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 20 ნოემბრამდე პერიოდზე, ხოლო 2011 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული N2 შეთანხმებით ვალდებულებათა შესრულების ვადა 2011 წლის 20 ნოემბრიდან გაგრძელებულ იქნა 2011 წლის 20 დეკემბრამდე. იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებელის მიერ პირველი (2011 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით) და მეორე (2011 წლის 1 ოქტომბრის) ეტაპის სამუშაოების ფაქტობრივად შესრულება შეთანხმების გაფორმებამდე მითითებულ სახელშეკრულებო ვადაში არ დასტურდება, ორივე ხელშეკრულების ფარგლებში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ობიექტური (ფორსმაჟორული) მტკიცებულებები სამუშაოების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, შეთანხმებებში მითითებული ვადის გაგრძელების საფუძველი (შპს „ანაგი“-ს მიმწოდებელის ცნობილი მოქანდაკე თამარ კვესიტაძის კომპანია შპს „სტუდიო“ მიმდინარე წლის 22 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით მიემგზავრება ვენეციაში, ვენეციის 54-ე თანამედროვე

¹⁹ N01, 31/08/2011 წელი, ანაგის მიმწოდებელის შპს „სტუდიო“-ს თამარ კვესიტაძე, დაევალა მიუზიკლი „ქეთო და კოტეს“-სათვის (რომლის პრემიერაც გაიმართა მიმდინარე წლის 14 აგვისტოს) კოსტუმების შექმნა რის გამოც შპს „სტუდიო“ ვერ ასრულებს შპს „ანაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში სამუშაოების შესრულებას.

²⁰ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 17 თებერვლის N17/02/06 განკარგულება.

²¹ ძეგლის ტრანსპორტირება 89122.22 ლარი, ძეგლის აწყობა და მონტაჟისათვის მომზადება 97177.54 ლარი, ძეგლის პედესტალის მოწყობა 78933.7 ლარი ძეგლის მონტაჟი 38882.87 ლარი, ზედნადები ხარჯი 30 411,63 ლარი, მოგება 23 416,96 ლარი.

²² N01, 31/08/2011 წელი.



ხელოვნების ბიენალეზე საქართველოს პავილიონის დახურვასთან დაკავშირებით, რის გამოც შპს „სტუდიო“ ვერ ასრულებს შპს „ანაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში სამუშაოების შესრულებას) მერიისათვის არ წარმოადგენდა ვალდებულებას და არც ობიექტურ მიზეზს, ამდენად ზემოაღნიშნული შეთანხმებით ვადის გაგრძელება შემსყიდველისათვის ობიექტურ საფუძველს მოკლებულია და ორიენტირებულია სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევისათვის პირგასამტებლოს დაკისრების თავის არიდებაზე.²³ ამდენად აღნიშნული შეთანხმებების გაუფორმებლობის შემთხვევაში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზრდებოდა 81 675,2 ლარით, მათ შორის პირველი ხელშეკრულების ფარგლებში 47 462,82²⁴ ლარით, ხოლო მეორე ხელშეკრულების ფარგლებში²⁵ 34 212,38²⁶ ლარით.

აუდიტის მიმდინარეობისას გარე დადასტურების სახით შპს „ანაგის“ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით ირკვევა, რომ არქიტექტურული ძეგლის (როტაცია) შესყიდვასთან დაკავშირებით 2011 წლის 30 მარტის შეთანხმების საფუძველზე (ქ. ბათუმის მერიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, 2011 წლის 4 აპრილამდე) 2011 წლის 5 აპრილს გაფორმებულია ხელშეკრულება და შეძენილია გერმანიაში, „ART PRODUKT GmbH“-საგან 123 800 ევროდ. საბაჟო დეკლარაცის მიხედვით ქანდაკება ერთი კომპლექტი 2011 წლის 28 ივლისს შემოტანილია დამლილ მდგომარეობაში (ს/დეკლარაცია Nc11316), სადაც უშუალოდ ძეგლის ღირებულება შეადგენს 280 799 ლარს, ხოლო დაწვრილებითი ღირებულების ჩათვლით 299 329,29 ლარს, თუმცა პირველი ეტაპის ხელშეკრულების მიხედვით ხარჯთაღრიცხვაში და შემდგომში შესრულებული სამუშაოს აქტებშიც მითითებულია, რომ ძეგლის ესკიზის და დეტალების დამზადების ღირებულება ზედნადები ხარჯებისა (30 789 ლარი) და გეგმიური დაგროვების (23 707,75 ლარი) ჩათვლით, დღგ-ს გარეშე შეადგენს 362 389 ლარს, ანუ საბაჟო დეკლარაციაში მითითებული ძეგლის კომპლექტის ღირებულებასთან შედარებით (362 389-280 799) 81 590 ლარით მეტს.

მეორე ეტაპის ხელშეკრულებაში და სამუშაოს შესრულების აქტებში, მითითებულია, რომ ძეგლის ტრანსპორტირებისათვის გახარჯულია 89 122,22 ლარი, ძეგლის აწყობა და მონტაჟისათვის მომზადებაზე 97 177,54 ლარი, ძეგლის

²³ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულები მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს შეუსრულებელ სამუშაოებზე ხელშეკრულების ღირებულების 0,10% პირგასამტებლოს დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

²⁴ სახელშეკრულებო ღირებულება 427 620 *0,1%*111 დღე.

²⁵ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულები მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს შეუსრულებელ სამუშაოებზე ხელშეკრულების ღირებულების 0,10% პირგასამტებლოს დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

²⁶ სახელშეკრულებო ღირებულება 422375X0.1%X81=34212.38 დღე.



პედესტალის მოწყობისათვის 77 210,76 ლარი, ძეგლის მონტაჟისათვის 38 882,57 ლარი, ზედნადები ხარჯები 30 239,6 ლარი, გეგმიური დაგროვება 23 284,23 ლარი, სულ დღგ-ს გარეშე 355 916,08 ლარი. შპს „ანაგის“ მიერ დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დოკუმენტებით კი ირკვევა, რომ ტრანსპორტის ხარჯებისათვის გაწეულია 116 982 ლარი²⁷, ანუ 27 860,17 ლარით მეტი. ძეგლისა და პედესტალის აწყობა-მონტაჟისათვის წარმოდგენილი დოკუმენტებით გახარჯულია 189 781,4 ლარი²⁸, მიღება-ჩაბარების აქტში კი მითითებულა 213 270,87 ლარი²⁹, ანუ 23 489,47 ლარით მეტი.

ამდენად ქ. ბათუმის მერიის მიერ არქიტექტურული ძეგლის (როტაცია) შეძენა-მონტაჟისათვის გაწეული 849 995 ლარის ხარჯები მაღალი რისკის შემცველია.

ქ. ბათუმში უკვე არსებული და დამონტაჟებული ყინულის მოედნის დაშლა გადატანის სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან 740 877,14 ლარის ხარჯების გაწევა, ქ. ბათუმის მერიის მიერ კეთილმოწყობის ღონისძიებების არასწორ დაგეგმვაზე, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

❖ ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე წინა პერიოდებში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე უკვე დამონტაჟებული და ექსპლუატაციაში შესული ყინულის მოედნის დაშლის, ასათიანისა და ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში (67,6X37,6) გადატანისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის³⁰, შპს „ბრაით ლაიტზე“ ხელშეკრულების შესაბამისად³¹ გადახდილია 740 877,14 ლარი. სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 24 მარტის. აუდიტის მიმდინარეობისას ქ. ბათუმის მერიის მიერ ვერ იქნა მოწოდებერს. აუდიტის მიმდინარეობისას ქ. ბათუმის მერიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულება ყინულის მოედნის გადატანის აუცილებლობისა და საჭიროების შესახებ, რაც ქ. ბათუმის მერიის მიერ

²⁷ მთლიან სატრანსპორტო ხარჯებს 127 661 ლარს -მიღება ჩაბარების აქტში მითითებული ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება 469,21 ლარი; ბალასტის ჩანაყარი ფენების მოწყობა, დატკეპნით 3 069,4 ლარი; ჩამჩიანი სატვირთოელა 4 068 ლარი; ამწე მექანიზმი 1 680 ლარი; სატრანსპორტო საშუალებები 1 392 ლარი, სულ 10 678,61 ლარი.

²⁸ გასალების ღირებულება 60 721,41 ლარი, შრომის ანაზღაურება 52 553 ლარი, მომსახურება და ზედამხედველობა 76 507 ლარი.

²⁹ ძეგლის აწყობა და მონტაჟისათვის მომზადებაზე 97 177,54 ლარი, ძეგლის პედესტალის მოწყობისათვის 77 210,76 ლარი, ძეგლის მონტაჟისათვის 38 882,57 ლარი,

³⁰ SPA120012237

³¹ N233. 11/06/2012 წელი.



კეთილმოწყობის ღონისძიებების არასწორ დაგეგმვაზე და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებლობის პირობებში 1727.7 ლარის ზედმეტად გადახდა და სათანადო მტკიცებულებების წარმოუდგენლობის პირობებში შენობა-ნაგებობების გაწმენდითი სამუშაოებისათვის 48 000 ლარით დაფინანსება, ქ. ბათუმის მერიის მიერ საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე, შესაბამისი სამსახურების არაეფექტურ საქმიანობაზე და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

სხვადასხვა სახის სამხატვრო-გაფორმებითი სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში³², მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, შპს „ტრიადა 2008“, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება³³ 322 602.92 ლარზე. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2012 წლის 25 დეკემბრამდე (10 თვე) პერიოდი, ხოლო სულ შესრულებულია და დაფინანსებულია 322 602.92 ლარი.

დადგენილი ტექნიკური პირობა სხვა საქმიანობასთან ერთად ითვალისწინებდა 10 თვის პერიოდში მეგლებისა (4 ცალი) და ბიუსტების (12 ცალი) გაწმენდას და მცირე რესტავრაციას, აგრეთვე 8 000 კვ.მ შენობა-ნაგებობების ლაქებისაგან გაწმენდით სამუშაოებს. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ:

❖ ხელშეკრულების ფარგლებში მიმოწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით შემსყიდველსა (მერიის კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი) და მიმწოდებელს შორის ყოველთვიურად გაფორმებული აქტებში მითითებულია ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოთა დასახელებები და მოცულობები, ხოლო ამავე პიროვნებების მიერ ანალოგიურად შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები და შესრულებული სამუშაოების მოცულობები შეფასებულია ხელშეკრულების შემადგენელი ფასების ცხრილის შესაბამისად. წარმოდგენილი მტკიცებულებების (სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები და აქტები) ანალიზით მტკიცებულებების (სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები და აქტები) ანალიზით ირკვევა, რომ ბიუსტების გაწმენდა, მცირე რესტავრაცია-მოვლის სამუშაოების ნაწილში, სახელშეკრულებო პერიოდის 8 თვის განმავლობაში აქტებით მომსახურება გაწეულია 9 ბიუსტზე, ხოლო შეფასების ნაწილში შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია და დაფინანსებულია 12 ბიუსტის მომსახურების

³² SPA120003423

³³ ხელშეკრულება სახლემწიფო შესყიდვების შესახებ N73 05.03.2012წ.



ღირებულება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თვითმმართველი ქალაქის ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი წერილობით განმარტავს, რომ აქტებში მექანიკური შეცდომაა. იმის გათვალისწინებით, რომ მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული ინფორმაცია სისტემატური ხასიათისაა 8 თვის განმავლობაში, აქტებს ხელს აწერს როგორც მიმღები ასევე მიმწოდებელი, სხვაობები გამოწვეულია სხვადასხვა თვეებში (მაგალითად აპრილში და მაისში მითითებულია რომ მოემსახურა 12 ბიუსტს, ივნისში კი 9 ბიუსტს), წარმოდგენილ აქტებში შესრულებული სამუშაოების ადგილმდებარეობა და მოცულობები უმეტეს შემთხვევაში განსხვავებულია. ამდენად, სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, აქტებში, მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული გაწული მომსახურების მოცულობის ურთიერთშესაბამისობა და მერიის მიერ 3 ბიუსტის მომსახურებისათვის გადახდილი³⁴ 1 727.7 ლარი რისკის შემცველია.

❖ ქ. ბათუმის მერიის მიერ განხორციელებულ 8000 კვ.მ შენობა-ნაგებობების ფასადის გაწმენდის სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით³⁵, ხელშეკრულებაში არ არის მითითებული კონკრეტულად ქალაქის რომელ შენობა-ნაგებობებზე და რა ფართობზე უნდა შესრულებულიყო გაწმენდითი სამუშაოები. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ იქნა მიღებული სათანადო რწმუნება ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით, რადგან სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის აღნიშნული თუ ქალაქის რომელ შენობა-ნაგებობაზე და რა ფართობზე იქნა ფაქტობრივად შესრულებული გაწმენდითი სამუშაოები. აღნიშნულ პირობებში ქ. ბათუმის მერიის მიერ სახელშეკრულებო ღირებულების (48 000 ლარი) დაფინანსება მაღალი რისკის შემცველია.

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში ქ ბათუმის მერიის მიერ არ არის დაკისრებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული სანქცია 1 775 ლარი.

❖ ტრენაჟორების შეძენა (მონტაჟით) მოწოდებისათვის ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2012 წლის 17 ივლისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში³⁶

³⁴ დარღვეულია სახლემწიფო შესყიდვების შესახებ N73 ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.6 პუნქტის მოთხოვნები. ერთი ბიუსტის მოსახურეობა თვეში შეადგენს 71,99 ლარი*3ცალი*8 თვე=1727,7 ლარი.

³⁵ 1 კვმ ფართობის გაწმენდა 6 ლარი, სულ $8000 \cdot 6 = 48\ 000$ ლარი.

³⁶ SPA120019831.



გამარჯვებულ შპს „ექსიმ ტრაფიკს“ გაუფორმა ხელშეკრულება³⁷ 355 000,00 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, რომლის შესრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 22 ნოემბრამდე პერიოდი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მიმწოდებელმა ვალდებულებათა შესრულება განახორციელა 2012 წლის 26 ნოემბერს, ³⁸ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადის 1 დღის დაგვიანებით. აღნიშნული მტკიცებულების გათვალისწინებით ვადაგადაცილებამ შეადგინა ერთი დღე, 22 ნოემბერი, რაზედაც მერიის მიერ მიმწოდებელზე უნდა განხორციელებულიყო 1 775 ლარის ³⁹ პირგასამტებლოს დაკისრება, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

კულტურის სხვადასხვა ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯებიდან პრემიის სახით არამიზნობრივადაა გახარჯული 10 000 ლარი.

❖ ქ. ბათუმის მერის ბრძანებით ⁴⁰ „კულტურის სხვადასხვა ღონისძიებების“ (ღონისძიება 2011 წლის პროგრამით N35; 2012 წლის ცვლილებით N20) ფარგლებში, საპატიო ბათუმელებზე პრემიის სახით გაცემულია 10 000 ლარი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს განკარგულებით ⁴¹ დამტკიცებული კულტურის მუნიციპალური პროგრამა „კულტურის სხვადასხვა ღონისძიებები“ ხარჯების გაწევას ითვალისწინებდა მხოლოდ „საუკეთესო პროექტებზე, რომლებიც წლის განმავლობაში ბათუმში დაიდგმება და მნიშვნელოვანი იქნება ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისათვის, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობაზე და ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან შემოსულ საუკეთესო პროექტებისათვის“. ამდენად, მერიის მიერ აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში 10 000 ლარის პრემიის სახით ხარჯების გაწევა შიდა კონტროლის არსებით სისუსტესა და საბიუჯეტო სახსრების არამიზანშედეგობრივ ხარჯვაზე მიუთითებს.

³⁷ ხელშეკრულება №316 . 23/08/2012 წელი.

³⁸ მიღება-ჩაბარებისაქტი N3. მერიის ზედამხედველობის სპეციალისტის წერილობითი განმარტება, რომ სამუშაოები ფაქტობრივად დასრულდა 2012 წლის 22 ნოემბერს.,

³⁹ ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1 პუნქტის თანახმად შეადგენს ხელშეკრულების ფასის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე $355000 \times 0.5\% \times 1 = 1775$ ლარი.

⁴⁰ საპატიო ბათუმელისათვის, ბრძანება N92-02/04/2012წ-2 000 ლარი; N122-01/05/2012წ-2 000 ლარი; N975-11/09/2012წ-5 0000 ლარი; N1941-21/12/2012წელი-1 000 ლარი;

⁴¹ N330-30/12/2011წელი; N152-28/06/2012წელი.



პირობითი მოსაზრება

აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ და „სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2011 – 2012 წლების ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული განათლების, კულტურის, სპორტის და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციისა და განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამებთან მიმართებაში გაწეული საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები/ნაკლოვანებები

შიდა კონტროლის სისუსტეები:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტით დადგინდა შიდა კონტროლის სისუსტეები, რაც გამოიხატება შემდეგი ნაკლოვანებების სახით:

ქ. ბათუმის მერიის მიერ ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურისათვის“ სპეც ტექნიკის შემენისათვის სატენდერო პირობების არასრულყოფილად წარმოდგენისათვის 20 000 ლარით ნაკლები ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის პირობებში, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სატენდერო პირობით გათვალისწინებული პარამეტრებით ტექნიკის მოუწოდებლობა შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე და შესაბამისი სამსახურების არაეფექტურ-არაჯეროვან საქმიანობაზე მიუთითებს;

❖ ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ -სათვის სპეც ტექნიკის შესყიდვის მიზნით ქ. ბათუმის მერიის მიერ 2012



წლის 23 თებერვალს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში⁴² მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი, შპს „მართვე 5“, რომლის ვაჭრობის შედეგად შემოთავაზებული ფასი შეადგინდა 330 000 ლარს და შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“, რომლის ვაჭრობის შედეგად შემოთავაზებული ფასი შეადგინდა 350 000 ლარს. უმცირესი (20 000 ლარით ნაკლები) ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „მართვე 5“ დისკვალიფიცირებული იქნა მოსაწოდებელი ტექნიკის პარამეტრების სატენდერო პირობასთან შეუსაბამობის მოტივით, ხოლო სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“, გაფორმდა ხელშეკრულება⁴³ 350 000 ლარის ღირებულებით ტექნიკის მოწოდებაზე. მიმწოდებელზე საწყის ეტაპზე გადახდილია ავანსი 87500 ლარი, ხოლო საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 16 ივნისი. ფაქტობრივად კი სპეც. ტექნიკა მიწოდებული იქნა 2012 წლის 18 ივლისს, რაზეც 32 დღის ვადაგადაცილებისათვის მერიის მიერ დაეკისრა პირგასამტებლო და გადახდილია ბიუჯეტში 56 000 ლარი. მიმწოდებლისა და შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათებით და სხვა კორესპონდეციით ირკვევა⁴⁴, რომ ფაქტობრივად ვერ იქნა მიწოდებული იმ პარამეტრებისა და მახასიათებლების სპეც. ტექნიკა, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციით და ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული⁴⁵, ხოლო მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული და აუდიტის პერიოდშიც ვერ იქნა წარმოდგენილი ფაქტობრივად მოწოდებული ტექნიკის პარამეტრები და მახასიათებლები.

ქ. ბათუმის მერიის მიერ მშენებარე ობიექტის სატენდერო წინადადებაში მშენებლობის ადგილმდებარეობის მიუთითებლობა და შემდგომში შესასრულებელი სამუშაოების 14,3%-ით, 31 895.5 ლარით შემცირება შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების არასათანადო დაგეგმვაზე და კონკურენციის შემცირებაზე მიუთითებს.

❖ სამი ერთეული სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოებისათვის ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2012 წლის 23 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონულ⁴⁶

⁴² SPA 120006488

⁴³ ხელშეკრულება N 142 18.04.2012წ.

⁴⁴. მიმწოდებლის წერილი N01-086, 03/07/2012წელი, მწარმოებლის ნოტარიულად დამოწმებული წერილი 11/07/2012წელი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის უფროსის გ. მახარაძის მოხსენებითი ბარათი N04-03/18636. 19/07/2012წელი.

⁴⁵ წერილი N01-086 03.07.2012წ, მიღება-ჩაბარების აქტი 18 ივლისი 2012 წელი

⁴⁶ SPA120022520.



ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, შპს „მონოლითი-2005“ და გაუფორმდა ხელშეკრულება⁴⁷ 222 696.50 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, რომლის შესრულების ვადა განისაზღრა 2012 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სატენდერო წინადადებაში და შემდგომში ხელშეკრულებაშიც არ არის მითითებული თუ სად, კონკრეტულად ქალაქის რა ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს სპორტული მოედნების მშენებლობა⁴⁸. აღნიშნული მისამართები და ადგილმდებარეობა შემდგომში მითითებულია სამუშაოს შესრულების აქტებში (ელიავას ქ №15-ში; მელიქიშვილის ქ №58-ში; ლერმონტოვის, გრიბოედოვისა და პუშკინის ქუჩების საერთო ეზო). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებული სამუშაოების არასაჭიროების მოტივით საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შემდგომში შემცირებულია 31 895.5 ლარით.

სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების უზრუნველსაყოფად, ბიუჯეტიდან გადახდილი თანხების ხარჯვის მდგომარეობაზე არასათანადო კონტროლია განხორციელებული, ხშირ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული დამტკიცებული პროგრამის მიზნები და მოთხოვნები, არ ხდება შესრულებულ სამუშაოთა სრული აღრიცხვა, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

❖ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის N300 განკარგულებით დამტკიცდა თვითმმართველი ქალაქის -ბათუმის 2012 წლის 35 დასახელების კულტურის მუნიციპალური პროგრამები, 2 570 000 ლარის ბიუჯეტით. საკრებულოს 2012 წლის 28 ივნისის (N152) N330 განკარგულებით პროგრამებში განხორციელდა ცვლილება, პროგრამების რაოდენობა შემცირდა 21 დასახელებამდე, ხოლო ბიუჯეტი 1 254 000 ლარამდე. პროგრამების მიხედვით ცალკეული ღონისძიება მოიცავს სხვადასხვა სახის საქმიანობის განხორციელებას (მასალების შევსება, ფოტო განახლება, წიგნის გამოცემა, ფილმის გადაღება, სპეციალურ ფულად პრიზებს, ჯილდოებს, კონცერტების ორგანიზებას, სახალისო სეირნობა, სტიპენდიების დანიშვნას და სხვა) თუმცა პროგრამაში არ არის ასახული და გამიჯნული, თუ რას მოიცავს

⁴⁷ ხელშეკრულება N381. 25/09/2012წელი.

⁴⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი N12¹ მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.



ცალკეული საქმიანობა (მაგალითად გაიმართება კონცერტი, სახალხო სეირნობა, მნიშვნელოვანი და ისტორიული თარიღის აღნიშვნა, სხვადასხვა დარგის დამსახურებული ადამიანიანების გამოვლენა და დაჯილდოება და სხვა), რა ბიუჯეტია დამტკიცებული აღნიშნული საქმიანობისთვის და რა საქმიანობის/მომსახურების შესრულებისათვის უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვა. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლევა სათანადო რწმუნებას და საფუძველს გამოვთქვათ მოსაზრება შესრულებული საქმიანობისა და გაწეული ხარჯების, საკრებულოს მიერ დამტკიცებული ღონისძიებების ბიუჯეტთან შესაბამისობაზე.

❖ თვითმმართველი ქალაქის- ბათუმის მერის ბრძანებით, კულტურის მუნიციპალური პროგრამებიდან „ქალაქისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნის“ ღონისძიების ფარგლებში, ნაყოფიერი და წარმატებული მუშაობისათვის, ერთჯერადი ფულადი პრემიის სახით სულ გაცემულია 7 975 ლარი⁴⁹, მათ შორის მუზეუმებისა და ნაკრძალის თანამშრომლებზე 40 კაცზე (თითოეულს 100 ლარი) 4 000 ლარი, ხოლო ა(ა)იპ აკაკი წერეთელის სახელობის ბიბლიოთეკის თანამშრომლებზე (75 კაცი) 3 975 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული უწყებები უმეტესად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვემდებარე უწყებებს წარმოადგენენ, ცალკეულ უწყებებში ფიზიკურად დასაქმებულია მეტი რაოდენობის თანამშრომლები, თანხების გაცემა განხორციელებულია მხოლოდ თანამშრომელთა ნაწილზე⁵⁰, მათ შორის დირექტორი, ბუღალტერი, იურისტი, მოლარე, მძღოლი, ბიბლიოთეკარი და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ დამტკიცებულ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული პრემიის მისაღებ პირთა რაოდენობა, საპრემიო თანხა, პრემიის გაცემისათვის პრეტენდენტთა შერჩევის კრიტერიუმები და საფუძველი, ფაქტობრივად თანხები გაცემულია დასაქმებულთან შედარებით ნაკლებ თანამშრომლებზე. ამდენად ღონისძიების ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების

⁴⁹ 2012 წლის 11 მისის N133 ბრძანება -4000 ლარი, 2012 წლის 24 აპრილის N111 ბრძანება 3975 ლარი,

⁵⁰ სსიპ-აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის, დასაქმებულია სუ 69 თანამშრომელი, გაცემულია 15 პირზე, არა გაცემული 54 პირზე, მათ შორის ; თანამდებობა-მცველი, დასაქმებულია 7 კაცი, გაცემულია 2 კაცზე, კოორდინატორი დასაქმებულია 8 კაცი, გაცემულია 2 კაცზე და სხვა, ანალოგიურად სსიპ „ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში“ დასაქმებულია 35 კაცი გაცემულია 10 კაცზე, სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს-მები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგირი მუზეუმი დასაქმებულია 21 კაცი, გაცემულია 3 კაცზე, სსიპ-აჭარის ხელოვნების მუზეუმი დასაქმებულია 22 კაცი გაცემულია 6 კაცზე და სხვა. ერთი და იგივე სპეციალობის თანამშრომლებიდან ნაწილზე არა გაცემული. ა(ა)იპ აკაკი წერეთელის სახელობის ბიბლიოთეკის თანამშრომლები 75 კაცი.



ობიექტურად ხარჯვა რისკის შემცველია და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

❖ ქ. ბათუმის მერიამ დოკუმენტური ფილმის „ბათუმის ქრონიკები“ გადაღების მომსახურების შესყიდვის მიზნით 2011 წელის 1 ივნისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში⁵¹ გამოვლენილ პრეტენდენტს შპს „გორაგელის“ გაუფორმა ხელშეკრულება⁵² 17 928 ლარის ღირებულების მომსახურებაზე, ხოლო მომსახურების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი. ვალდებულებების შესრულების ვადის დასრულებამდე 7 დღით ადრე, 2011 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმებით,⁵³ მიწოდების ვადა გაგრძელდა 2011 წლის 30 ოქტომბრამდე, ხოლო ვადის დასრულებამდე 2 დღით ადრე, 2011 წლის 28 ოქტომბერს შეთანხმებით⁵⁴ მიწოდების ვადა პლავ გაგრძელდა 2011 წლის 30 დეკემბრამდე, რომელიც ფაქტობრივად დასრულდა 27 დეკემბერს. ვადის გაგრძელების მოტივად პირველ შეთანხმებაში მითითებულია, რომ „მუშაობის პერიოდში მოპოვებულია დიდი მოცულობის საინტერესო საარქივო მასალა (ფოტო, კინო, დოკუმენტური), რომელიც საჭიროებს დამუშავებასა და ციფრულ ფორმატში გადაყვანას. სირთულე შექმნა იმანაც, რომ უაღრესად საინტერესო მასალები მოპოვებულია სხვადასხვა არქივებში, რომელიც განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (არქივებსა და ოჯახებში) და უცხოეთში”, ხოლო მეორე შეთანხმების მოტივად „ფილმში გამოსაყენებელი საარქივო მასალების გამოთხვა (არქივების მუშაობისა და მასალების გაცემის წესის სპეციფიკურობის გამო) შეუძლებელი გახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.“ ორივე შემთხვევაში ვადის გაგრძელების საფუძვლად აღებული მოტივაცია ხელშეკრულებით ფორსმაჟორულ სიტუაციად არ განიხილება, ამდენად ვადის გაგრძელების ფორსმაჟორული მდგომარეობა უსაფუძვლოა და შესაძლებელი იყო 118 დღით დაგვიანების გამო 2 115.5 ლარის⁵⁵ პირგასამტებლოს დაკისრება.

⁵¹ SPA110014721. მონაწილეობდა 1 პრეტენდენტი.

⁵² ხელშეკრულება №203 11.07.2011წ.

⁵³ შეთანხმება №1. 24.08.2011 წელი.

⁵⁴ შეთანხმება №2. 28.10.2011 წელი.

⁵⁵ 2011 წლის 1 სექტემბრიდან 27 დეკემბრამდე პერიოდი 17928ლარი ×0,1% ×118დღე =2115.50 ლარი.



❖ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის N331⁵⁶ დადგენილებით დამტკიცდა სტუდენტთა დასაქმების პროგრამა 150 000 ლარის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებდა ბათუმში რეგისტრირებული საგანმანათლებლო დაწესებულებების 500 სტუდენტის დასაქმებას სხვადასხვა სამოქალაქო სამუშაოებზე. დამტკიცებული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა შერჩევა მოხდებოდა გარკვეული კრიტერიუმებით ⁵⁷. 2012 წელს პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, ⁵⁸ ბიუჯეტი შემცირდა და ფაქტობრივად გაწეულია 136 740 ლარის საკასაო ხარჯი, მათ შორის სტუდენტთა ეკიპირებისა და სამუშაო აღჭურვილობისათვის 7 490 ლარი⁵⁹, ხოლო სტუდენტებზე ჰონორარის გაცემისათვის 129 250 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ პროგრამით ისარგებლა 508 სტუდენტმა და 9 კოორდინატორმა, რაზედაც გადახდილია 129 250 ლარი (ერთი ფიზიკური პირი 250 ლარი), თუმცა პროგრამით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, შესაბამისი კრიტერიუმების შესწავლისა და გათვალისწინების გარეშე, საერთო რაოდენობის 36.1% - 187 სტუდენტი დაფინანსებულია 46 750 ლარით, ხოლო 9 კოორდინატორი, რასაც პროგრამა არ ითვალისწინებდა დაფინანსებულია 2 250 ლარით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია იმის შესახებ თუ სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში ფაქტიურად რა სახის სამოქალაქო სამუშაოები იქნა შესრულებული. ამდენად, სტუდენტთა დასაქმების პროგრამით გათვალისწინებული ხარჯებიდან 49 000 ლარის ხარჯვა არ განხორციელებულა პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და მიზნების შესაბამისად.

⁵⁶ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის N331 განკარგულება „თვითმმარტველი ქალაქის - ბათუმის 2012 წლის ახალგაზრდობის საქმეთა მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.“

⁵⁷ ხოცალურად დაუცველთა კატეგორიას მიკუთვნებული ოჯახის წევრი (70 000 სარეიტინგო ქულა ან ნაკლები), ობლები (დედით ან მამით), დევნილები და ეკომიგრანტები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები (4 და მეტი შვილით), მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

⁵⁸ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 28 ივნისის N153 განკარგულება 143 940 ლარი.

თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 16 ივლისის N181 განკარგულება 136 740 ლარი.

⁵⁹ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N183 14.05.2012წ. (მიწოდება 23 მაისი)
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N182 14.05.2012წ. (მიწოდება 23 მაისი)



ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები

პროგრამების შესრულების მდგომარეობა

ქ. ბათუმის მერიის ბიუჯეტით განათლების, კულტურის, სპორტისა და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამისათვის 2011-2012 წლებში დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 30 026 100 ლარის ხარჯების გაწევა, ფაქტობრივად გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს 25 927 780 ლარს. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამებისათვის კი 2011-2012 წლებში გათვალისწინებული იყო 8 119 729 ლარის ხარჯების გაწევა, ფაქტობრივად გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს 7 364 942 ლარს.

სხვა დარღვევა ნაკლოვანებები

➤ კულტურული ღონისძიებების ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში ⁶⁰ რიგ შემთხვევებში არ არის გათვალისწინებული სამუშაოების/საქონელის დაგვიანებით შესრულების/მიწოდების შემთხვევაში დასაკისრებელი სანქციები, ხელშეკრულების ფარგლებში საქონლისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, სადაც ფაქტობრივად შესრულების დროდ დაფიქსირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა. ზემოაღნიშნული გარემოებები მიმწოდებლებთან დიფერენცირებულ მიდგომაზე და შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

➤ „ბათუმელი ახალგაზრდებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გასვლითი ღონისძიებების ორგანიზების“ შესყიდვის მიზნით, ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ გამარტივებულ ტენდერში⁶¹ (სახელშეკრულებო ღირებულება 37 670 ლარი) გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება⁶². ტექნიკური პირობების თანახმად მიმწოდებელს უნდა უზრუნველყო ბათუმის თვითმმართველი ერთეულიდან სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, უმუშევარი 260 ახალგაზრდის საექსკურსიო მომსახურება (ქ.

⁶⁰ - ხელშეკრულება N41, 20.02.2012წ. ვადაგადაცილება შეადგენს 24 დღეს. ხელშეკრულება N 407, 08/11/2012წ. ვადაგადაცილება შეადგენს 4 დღეს.

⁶¹ SPA120003422

⁶² სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N74 05.03.2012წ.



ბათუმის შესაბამის სამსახურთან შეთანმხებით). მომსახურება შესრულებულია, თუმცა პროგრამაში მონაწილე პირთა იდენტიფიცირების შესაბამისი მტკიცებულება აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი, აგრეთვე არ დასტურდება შემსყიდველის მიერ პროგრამის შესაბამისად მონაწილე პირთა შერჩევა⁶³. ამდენად, პროგრამის მიზნების ფაქტობრივად შესრულება/მიღწევა და საბიუჯეტო სახსრების პროგრამის შესაბამისად ხარჯვა რისკის შემცველია და შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

➤ სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობისა და ტურნირების ორგანიზების მომსახურების შესყიდვის მიზნით, ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ გამარტივებულ ტენდერში⁶⁴ გამარჯვებულ პრეტენდენტს ა(ა)იპ „აჭარის ა.რ. რეგიონალური მინი ფეხბურთის ფედერაციასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება⁶⁵ 5 000 ლარის მომსახურებაზე. მიწოდების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 16 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა კი 2011 წლის 23 დეკემბერი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტესტირებით ირკვევა, რომ შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ⁶⁶ ტურნირის დაწყებამდე, 2011 წლის 15 დეკემბერს, გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი და დადასტურებულია ღია ჩემპიონატის მაგიდის ჩოგბურთის 2 470 ლარის მომსახურების შესრულება, სადაც აღნიშნულია, რომ 16-19 დეკემბერს მიმწოდებელმა ღონისძიებას გაუწია ორგანიზება, 2011 წლის 21 დეკემბერს კი გამოწერილია სასაქონლო ზედნადები. ამდენად, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და ფაქტობრივი შესრულება შეუსაბამოა და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

➤ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N75 განკარგულებით, ქალაქ ბათუმის მერიას მიეცა თანხმობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქ. ბათუმში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოების შესყიდვა, 870 000 ლარის ფარგლებში განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის

⁶³ ახალგაზრდების შერჩევა ხდებოდა, დამოუკიდებლად, მუნიციპალიტეტის გამგებლების მიერ. შერჩეული ჯგუფის სტატუსის ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენა არ ხორციელდებოდა.

⁶⁴ SPA 110029866

⁶⁵ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N344 15.12.2011წ.

⁶⁶ განათლების, ტურიზმისა და სპორტის განყოფილების უფროსი,



საშუალებით. აღნიშნულის საფუძველზე 2012 წლის 17 მაისს⁶⁷ ქალაქ ბათუმის მერიასა და შპს „ჰაუსარტ პროჯექტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება 30 000 ადგილიანი საფეხბურთო ოლიმპიური სტადიონის მშენებლობის სრულყოფილი არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შესყიდვის მიზნით, საავტორო ზედამხედველობის გაწევის ჩათვლით. ხელშეკრულების პირობებით ღირებულება განისაზღვრა 870 000 ლარით, პროექტის პირველი ეტაპის მიწოდების ვადა არაუგვიანეს 2012 წლის 30 ივლისი, ხოლო სრული და საბოლოო მიწოდების ვადად 2012 წლის 30 ოქტომბერი. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების გათვალისწინებით⁶⁸ პროექტის საბოლოო მიღება - ჩაბარება განხორციელდა 2013 წლის 24 იანვარს⁶⁹ და გადახდილია 870 000 ლარი.

იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის განკარგულების მიზანი იყო პროექტის შეზღუდულ ვადებში მომზადება, რაც ფაქტობრივად არ განხორციელდა (პროექტი მომზადდა 9 თვეში), ამდენად შესყიდვის ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, მეტი კონკურენციის პირობებში განხორციელდებოდა პროექტის შესყიდვა.

უფროსი აუდიტორი

ნადიმ ბოლქვაძე

ნ. ბოლქვაძე

თარიღი 09.12.2013 წ.

აუდიტორი

გურამ დუმბაძე

გ. გურამ დუმბაძე

თარიღი 09.12.2013 წ.

აუდიტორი

იონა წითელაძე

ი. იონა წითელაძე

თარიღი 09.12.2013 წ.

⁶⁷ უფლებამოსილების მინიჭების 3 დღის შემდგომ

⁶⁸ მხარეთა შეთანხმება N1 31.08.2012წ.

⁶⁹ მიღება-ჩაბარების აქტი 24.01.2013წ.

კოდი	დასახელება	2011 წელი		2012 წლი		სულ 2011-2012	
		დაზუსტებული	საკასო	დაზუსტებული	საკასო	დაზუსტებული	საკასო
02 05	განათლების, კულტურის, სპორტისა და დასცენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამები	11,383,900	9,463,742	18,642,200	16,464,03	30,026,100	25,927,78
	სარჯები საქონელი და მომსახურება სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება არაფინანსური აქტივები	2,175,300 2,175,300 2,175,300 9,208,600	1,572,094 1,572,094 1,572,094 7,891,648	770,200 770,200 770,200 17,872,000	722,474 722,474 722,474 15,741,564	2,945,500 2,945,500 2,945,500 27,080,600	2,294,568 2,294,568 2,294,568 23,633,212
02 05 01	პარკების, სკეკვრებისა და მოვდნების კეთილმოწყობა	3,853,200	3,058,679	8,600,200	7,332,318	12,453,400	10,390,997
	სარჯები საქონელი და მომსახურება სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება არაფინანსური აქტივები	777,200 777,200 777,200 3,076,000	320,614 320,614 320,614 2,738,064	120,600 120,600 120,600 8,479,600	115,539 115,539 115,539 7,216,779	897,800 897,800 897,800 11,555,600	436,153 436,153 436,153 9,954,844
02 05 02	ქალაქის გაფორმება	2,330,900	2,043,081	890,600	854,233	3,221,500	2,897,314
	სარჯები საქონელი და მომსახურება სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება არაფინანსური აქტივები	1,265,400 1,265,400 1,265,400 1,065,500	1,195,480 1,195,480 1,195,480 847,601	587,200 587,200 587,200 303,400	550,935 550,935 550,935 303,298	1,852,600 1,852,600 1,852,600 1,368,900	1,746,415 1,746,415 1,746,415 1,150,899
02 05 03	სასპორტო და დასცენების ობიექტების რეაბილიტაცია	3,221,500	2,969,475	6,587,900	5,728,965	9,809,400	8,698,440
	სარჯები საქონელი და მომსახურება	0 0	0 0	6,400 6,400	0 0	6,400 6,400	0 0



	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება არაფინანსური აქტივები	0 3,221,500	0 2,969,475	6,400 6,581,500	0 5,728,965	6,400 9,803,000	0 8,698,440
02 05 04	საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	1,556,300	1,142,033	2,401,900	2,392,421	3,958,200	3,534,454
	ხარჯები საქონელი და მომსახურება	132,700	56,000	56,000	56,000	188,700	112,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	132,700	56,000	56,000	56,000	188,700	112,000
	არაფინანსური აქტივები	1,423,600	1,086,033	2,345,900	2,336,421	3,769,500	3,422,454
02 05 05	განათლების, სახელმწიფო და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	422,000	250,475	161,600	156,102	583,600	406,577
	არაფინანსური აქტივები	422,000	250,475	161,600	156,102	583,600	406,577
02 06	განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები	4,458,829	3,879,191	3,660,900	3,485,751	8,119,729	7,364,942
	ხარჯები საქონელი და მომსახურება	4,458,829	3,879,191	3,660,900	3,485,751	8,119,729	7,364,942
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3,255,129	2,676,447	1,915,900	1,740,751	5,171,029	4,417,198
	სუბსიდიები	3,255,129	2,676,447	1,915,900	1,740,751	5,171,029	4,417,198
	სუბსიდიები	1,203,700	1,202,744	1,745,000	1,745,000	2,948,700	2,947,744
02 06 01	კულტურის პროგრამები	2,708,129	2,163,771	1,237,000	1,073,725	3,945,129	3,237,496
	ხარჯები საქონელი და მომსახურება	2,708,129	2,163,771	1,237,000	1,073,725	3,945,129	3,237,496
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2,708,129	2,163,771	1,237,000	1,073,725	3,945,129	3,237,496
02 06 02	სპორტის პროგრამები	217,000	184,223	312,600	307,231	529,600	491,454
	ხარჯები საქონელი და მომსახურება	217,000	184,223	312,600	307,231	529,600	491,454
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	217,000	184,223	312,600	307,231	529,600	491,454
02 06 03	ახალგაზრდობის საქმეთა	330,000	328,453	366,300	359,795	696,300	688,248

	პროგრამები						
	ხარჯები	330,000	328,453	366,300	359,795	696,300	688,248
	საქონელი და მომსახურება	330,000	328,453	366,300	359,795	696,300	688,248
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	330,000	328,453	366,300	359,795	696,300	688,248
02 06 04	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამა	1,203,700	1,202,744	1,745,000	1,745,000	2,948,700	2,947,744
	ხარჯები	1,203,700	1,202,744	1,745,000	1,745,000	2,948,700	2,947,744
	სუბსიდიები	1,203,700	1,202,744	1,745,000	1,745,000	2,948,700	2,947,744
	<u>სულ ჯამი 02-05 / 02-06</u>	<u>15,842,729</u>	<u>13,342,933</u>	<u>22,303,100</u>	<u>19,949,789</u>	<u>38,145,829</u>	<u>33,292,72</u>

სარეკომენდაციო წერილი

აუდიტის ობიექტი: თვითმმართველი ქალაქის
- ბათუმის საკრებულო

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი:
ბატონი ირაკლი ჩავლეიშვილი

1. გამოვლენილი გარემოება

ქ. ბათუმში, ახალი ბულვარიდან - მდ. ჭოროხამდე ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი ბილიკის მოწყობის სამუშაოების განხორციელებისას, შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში (3 100 000 ლარის სამუშაოებში) გათვალისწინებული იყო რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 3%-ის ოდენობით 76 518,01 ლარი, რომლის გამოყენება, ფასების ცხრილში დაფიქსირებული შენიშვნის მიხედვით, მოხდებოდა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის ნებართვით. წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები), მიმწოდებელის მიერ გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯზე რაიმე სახის დამატებითი სამუშაოების ფაქტობრივად შესრულება ვერ დასტურდება, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტებში პროცენტულად დამატებულია და ქ. ბათუმის მერიის მიერ დაფინანსებულია რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 7 699,01 ლარი, დღგ-ს ჩათვლით 9 048,33 ლარი.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს ფაქტობრივად შეუსრულებელი სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯების ბიუჯეტში აღდგენა, ხოლო შემდგომში ანალოგიური დარღვევა-ნაკლოვანებების დაუშვებლობის მოტივით, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა განახორციელოს ხელშეკრულების შესაბამისად, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

2. გამოვლენილი გარემოება

ქ. ბათუმში, ახალი ბულვარიდან - მდ. ჭოროხამდე ფეხით მოსიარულეთა, ველოსიპედის სავალი ბილკის და სხვადასხვა სამუშაოების განხორციელებისას, შეთანხმებებში მითითებული ხელისშემშლელი პირობების წარმოშობის პერიოდის, ფაქტობრივად არსებობის და შემდგომში აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოუდგენლობა, მთლიანი შესასრულებელი სამუშაობიდან 18% და 20% სამუშაოების შესრულების პირობებში, სამუშაოს დასრულების ბოლო დღეს, სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება და მიმწოდებელზე პირგასამტებლოს დარიცხვის რეალობა მაღალი რისკის შემცველია.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელება განხორციელდეს შესაბამისი ხელისშემშლელი პირობების ფაქტობრივად არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე, რაც შეამცირებს ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მიმწოდებლზე პირგასამტებლოს რეალურად დარიცხვისათვის არსებულ რისკს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

3. გამოვლენილი გარემოება

ქ. ბათუმში, არდაგანის ტბის მიმდებარედ არქიტექტურული ძეგლის მოწყობის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოების განხორციელებისას, შესაბამისი ობიექტური, ფორსმაჟორული გარემოებების მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, შემსყიდველის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ვადის უსაფუძლოდ გაგრძელებით, პირგასამტებლოს სახით ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში არ იქნა ასახული 81 675,2 ლარი, ხოლო არქიტექტურული ძეგლის (როტაცია) შეძენა-მონტაჟისათვის (მთლიანი ღირებულება 849 995) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სახეობისა და ღირებულების წარმოდგენილ მტკიცებულებასთან ურთიერთშეუსაბამობა.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს შესაბამისმა სამსახურმა გაატაროს ქმედითი ონისძიებები ქ. ბათუმში, არდაგანის ტბის მიმდებარედ არქიტექტურული ძეგლის მოწყობის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოების განხორციელებისას მიმწოდებელზე პირგასამტებლოს დაურიცხაობასთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელება განხორციელდეს მხოლოდ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული, შესაბამისი ხელისშემშლელი პირობების ფაქტობრივად არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

4. გამოვლენილი გარემოება

ქ. ბათუმში უკვე არსებული და დამონტაჟებული ყინულის მოედნის დაშლა გადატანის სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან 740 877,14 ლარის ხარჯების გაწევა, ქ. ბათუმის მერიის მიერ კეთილმოწყობის ღონისძიებების არასწორ დაგეგმვაზე, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვაზე და შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს, რომ ქალაქის განაშენიანების პერსპექტიული გეგმის გათვალისწინებით განხორციელდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაგეგმვა და საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, რაც შემდგომში საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის საფუძველი იქნება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

5. გამოვლენილი გარემოება

ტრენაჟორების შეძენისათვის (მონტაჟით) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში ქ. ბათუმის მერიის მიერ არ არის დაკისრებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პირგასამტებლო 1 775 ლარი.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს ტრენაჟორების შეძენისათვის ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირგასამტებლოს დარიცხვა და მისი გადახდა ბიუჯეტში. სანქციის კანონშესაბამისი უზრუნველყოფა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

6. გამოვლენილი გარემოება

ქ. ბათუმის მერიის მიერ სამი ერთეული სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოებისათვის მშენებარე ობიექტის სატენდერო წინადადებაში მშენებლობის ადგილმდებარეობის მიუთითებლობა და შემდგომში შესასრულებელი სამუშაოების 14,3%-ით, 31 895.5 ლარით შემცირება შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების არასათანადო დაგეგმვაზე და კონკურენციის შემცირებაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის შესაბამისმა სამსახურმა დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვროს მშენებარე ობიექტის ადგილმდებარეობა და რეალური გაანგარიშების საფუძველზე განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება, რაც სამშენებლო სამუშაოების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის შექმნის საფუძველი იქნება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

7. გამოვლენილი გარემოება

სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების უზრუნველსაყოფად, ბიუჯეტიდან გადახდილი თანხების ხარჯვის მდგომარეობაზე არასათანადო კონტროლია განხორციელებული, ხშირ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული დამტკიცებული პროგრამის მიზნები და მოთხოვნები, არ ხდება შესრულებულ სამუშაოთა სრული აღრიცხვა, რაც შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები და განახორციელოს სათანადო კონტროლი კულტურისა და სხვადასხვა ღონისძიებისათვის პროგრამების დაგეგმვაზე, სრულფასოვნად შესრულებზე და პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისათვის საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისად ხარჯვაზე.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

უფროსი აუდიტორი
ნადიმ ბოლქვაძე

09/12/2013წ.

აუდიტორი
გურამ დუმბაძე

09/12/2013წ.

აუდიტორი
იონა წითელაძე

09/12/2013წ.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმი

პროგრამის ბიუჯეტი, ფორმა 2011- 2012 წელი

კოდი	დასახელება	2011 წელი		2012 წელი		სულ 2011-2012	
		დაზუსტებული	საკასო	დაზუსტებული	საკასო	დაზუსტებული	საკასო
02 05	განათლების, კულტურის, სპორტისა და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამები	11,383,900	9,463,742	18,642,200	16,464,03	30,026,100	25,927,78
	ხარჯები	2,175,300	1,572,094	770,200	722,474	2,945,500	2,294,568
	საქონელი და მომსახურება	2,175,300	1,572,094	770,200	722,474	2,945,500	2,294,568
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2,175,300	1,572,094	770,200	722,474	2,945,500	2,294,568
	არაფინანსური აქტივები	9,208,600	7,891,648	17,872,000	15,741,564	27,080,600	23,633,212
02 05 01	პარკების, სკვერებისა და მოედნების კოთილმოწყობა	3,853,200	3,058,679	8,600,200	7,332,318	12,453,400	10,390,997
	ხარჯები	777,200	320,614	120,600	115,539	897,800	436,153
	საქონელი და მომსახურება	777,200	320,614	120,600	115,539	897,800	436,153
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	777,200	320,614	120,600	115,539	897,800	436,153
	არაფინანსური აქტივები	3,076,000	2,738,064	8,479,600	7,216,779	11,555,600	9,954,844*
02 05 02	ქალაქის გაფორმება	2,330,900	2,043,081	890,600	854,233	3,221,500	2,897,314
	ხარჯები	1,265,400	1,195,480	587,200	550,935	1,852,600	1,746,415
	საქონელი და მომსახურება	1,265,400	1,195,480	587,200	550,935	1,852,600	1,746,415
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1,265,400	1,195,480	587,200	550,935	1,852,600	1,746,415
	არაფინანსური აქტივები	1,065,500	847,601	303,400	303,298	1,368,900	1,150,899
02 05 03	სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია	3,221,500	2,969,475	6,587,900	5,728,965	9,809,400	8,698,440
	ხარჯები	0	0	6,400	0	6,400	0
	საქონელი და მომსახურება	0	0	6,400	0	6,400	0



	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0	0	6,400	0	6,400	0
	არაფინანსური აქტივები	3,221,500	2,969,475	6,581,500	5,728,965	9,803,000	8,698,440
02 05 04	საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	1,556,300	1,142,033	2,401,900	2,392,421	3,958,200	3,534,454
	ხარჯები	132,700	56,000	56,000	56,000	188,700	112,000
	საქონელი და მომსახურება	132,700	56,000	56,000	56,000	188,700	112,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	132,700	56,000	56,000	56,000	188,700	112,000
	არაფინანსური აქტივები	1,423,600	1,086,033	2,345,900	2,336,421	3,769,500	3,422,454
02 05 05	განათლების, სახელოფებო და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	422,000	250,475	161,600	156,102	583,600	406,577
	არაფინანსური აქტივები	422,000	250,475	161,600	156,102	583,600	406,577
02 06	განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები	4,458,829	3,879,191	3,660,900	3,485,751	8,119,729	7,364,942
	ხარჯები	4,458,829	3,879,191	3,660,900	3,485,751	8,119,729	7,364,942
	საქონელი და მომსახურება	3,255,129	2,676,447	1,915,900	1,740,751	5,171,029	4,417,198
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3,255,129	2,676,447	1,915,900	1,740,751	5,171,029	4,417,198
	სუბსიდიები	1,203,700	1,202,744	1,745,000	1,745,000	2,948,700	2,947,744
02 06 01	კულტურის პროგრამები	2,708,129	2,163,771	1,237,000	1,073,725	3,945,129	3,237,496
	ხარჯები	2,708,129	2,163,771	1,237,000	1,073,725	3,945,129	3,237,496
	საქონელი და მომსახურება	2,708,129	2,163,771	1,237,000	1,073,725	3,945,129	3,237,496
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2,708,129	2,163,771	1,237,000	1,073,725	3,945,129	3,237,496
02 06 02	სპორტის პროგრამები	217,000	184,223	312,600	307,231	529,600	491,454
	ხარჯები	217,000	184,223	312,600	307,231	529,600	491,454
	საქონელი და მომსახურება	217,000	184,223	312,600	307,231	529,600	491,454
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	217,000	184,223	312,600	307,231	529,600	491,454
02 06 03	ახალგაზრდობის საქმეთა	330,000	328,453	366,300	359,795	696,300	688,248

	პროგრამები						
	ხარჯები	330,000	328,453	366,300	359,795	696,300	688,248
	საქონელი და მომსახურება	330,000	328,453	366,300	359,795	696,300	688,248
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	330,000	328,453	366,300	359,795	696,300	688,248
02 06 04	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის პროგრამა	1,203,700	1,202,744	1,745,000	1,745,000	2,948,700	2,947,744
	ხარჯები	1,203,700	1,202,744	1,745,000	1,745,000	2,948,700	2,947,744
	სუბსიდიები	1,203,700	1,202,744	1,745,000	1,745,000	2,948,700	2,947,744
	<u>სულ ჯამი 02-05 / 02-06</u>	<u>15,842,729</u>	<u>13,342,933</u>	<u>22,303,100</u>	<u>19,949,789</u>	<u>38,145,829</u>	<u>33,292,72</u>